

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა გაკვეთილების დაგეგმვასა და  
საკლასო მენეჯმენტისადმი ინგლისური ენის სწავლებისას (საშუალო  
განათლება)

ნონა ქერდიყოშვილი

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებების  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 2014

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფ. დოქტ. ნათელა დოღონაძე .....

**ექსპერტები:**

პროფ. დოქტ. ეკატერინე ფიფია .....

ასოც. პროფ. მათა ჩქოტუა .....

**ოპონენტები:**

ასოც. პროფ. დოქტ. თამარ ჯოჯუა .....

ასოც. პროფ. დოქტ. ირმა ბარბაქაძე .....

## შესავალი

ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა მსოფლიო მასშტაბით პირდაპირკავშირშია პიროვნულ და საზოგადოებრივ წარმატებასთან. 21-ე საუკუნეში უცხო ენის სწავლებით განპირობებულ შესაძლებლობათა ნუსხა უსასრულოა და მოიცავს სხვადასხვა პერსპექტივას: საზღვარგარეთ სწავლის (Turkan, 2013), დასაქმების, როგორც სამშობლოში ასევე მის ფარგლებს გარეთ (Roshid & Chowdhury, 2013), პროფესიული და პიროვნული განვითარების მრავალ ასპექტს, განსაკუთრებით, ინტერნეტის გამოყენებით (Chinnery, 2014), ერებს შორის არსებული კონფლიქტების მოგვარებას (Kurt & Kurt, 2013), ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და მეცნიერულ წინსვლას (Kida, 2010; Nemethova, I.; Cho, 2009).

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფცია განხილულ იქნა ჯონ დიუის ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა 1956 წელს (O'Sullivan, 2003), სწორედ ეს პერიოდი გახდა დასაბამი მასში წარმოდგენილი თეორიის მეტ-ნაკლებად განხორციელებისა. მოგვიანებით კარლ როჯერსმა განავითარა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თეორიის საფუძვლები და წარმოადგინა საკუთარი ხედვა განათლების ზოგად თეორიაზე (Burnard, 1999; Rogoff, 1999). შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს წარმოდგენა განათლებაზე ასევე ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საფუძვლებს. გარკვეული თვალსაზრისით მალკოლმ ნოულის წვლილიც დიდია ზემოაღნიშნული მიდგომის განვითარების საკითხებში (Burnard, 1999). დღესდღეობით ეს არის ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტერმინი და განათლების სისტემის, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლების, საფუძველი. მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მიდგომიდან მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომაზე გადასვლის ფაქტორი გახდა უამრავი წარმატების მიზეზი, თუმცა ეს მიღწევები ჯერაც არ არის საკმარისი. მრავალი კვლევა აუცლებელი, რათა დავძლიოთ ის წინაარმდეგობა, რომელსაც მასწავლებლები და მოსწავლეები დღემდე უწევენ ამ მისიონს. სწორედ ზემოხსენებულთან არის დაკავშირებული კვლევის აქტუალობა.

არსებული რეალობა ცხადყოფს ბევრად ეფექტური გზების ძიების აუცილებლობას ინგლისური (როგორც უცხო) ენის სწავლებაში და ზოგადად განათლებაში

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განსამტკიცებლად. **კვლევის სიახლე** დაკავშირებულია ტერმინის „ინგლისური ენის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების“ უფრო ფართი ინტერპრეტაციასთან და ღრმა გაგებასთან, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის ყველა ასპექტს: დაგეგმვას, მასალის პრეზენტაციას, ვარჯშას და შეფასებას. აღნიშნის ღირსია, რომ მოსწავლეებს ენიჭებათ ხმისა და არჩევანის შესაძლებლობა ყველა ჩამოთვლილ კონპონენტზე.

წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობისა და მოსწავლეების მხრიდან დამოუკიდებლად სწავლის ტენდენცია საგრძნობლად გაიზარდა ბოლო პერიოდში, ისევე როგორც მოსწავლეების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მრავალი ნიუანსი სრულად ჯერ ვერ აისახა საგანმანათლებლო სისტემის ყველა სფეროში. სილიაბუსები ხშირად ფორმალურად წარმოადგენენ მოსწავლეთა მოთხოვნილებებს, იმ დროს როცა გაკვეთილის დაგეგმვა კვლავ ეფუძნება მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების ძირითად პრინციპებს. სწავლების დედუქციური მეთოდი ხშირ შემთხვევაში კვლავაც რჩება სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად, მაშინ როცა ინდუქციური მეთოდი, რომელიც მასალის პრეზენტაციისას მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების შესაბამისად ყველაზე მისაღებია, იშვიათად თუ გამოიყენება. რაც შეეხება შეფასებას, ის (თითქმის) სრულად ხორციელდება მასწავლებლის მიერ.

**კვლევის პრობლემას** წარმოადგენს არსებული რეალობა, რაც მდგომარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომისადმი პედაგოგთა და მოსწავლეთა არც თუ ენთუზიაზმით აღსავსე დამოკიდებულებაში. მათი მენტალიტეტის შეცვლა რთული და დრო-ტევადი პროცესია.

ისმება შემდეგი შინაარსის **კითხვები**:

- სწავლების ინდუქციური მეთოდის გამოყენება რამდენად ჩაანაცვლებს დედუქციური სწავლების მეთოდს?
- უნდა მონაწილეობდნენ თუ არა მოსწავლეები თემის, ტექსტის, აქტივობისა და ტესტის ფორმატის შერჩევაში?

- შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს მოიძიონ ან თავად შექმნან სასწავლო რესურსები, მასალა? უნდა ქმნიდნენ ისინი თუ არა ტესტებს და პასუხებს, რომლებსაც მოგვიანებით მასწავლებელი გამოიყენებს სასწავლო პროცესში?
- რამდენად ღირებული შესაძლოა იყოს თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, მასწავლებლის მიერ განხორციელებულ შეფასებასთან მიმართებაში?

კვლევაში წარმოდგენილი **ჰიპოთეზის** თანახმად: ინგლისური ენის სწავლების ეფექტურობა გაიზრდება, თუ გამოვიყენებთ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, კერძოდ კი:

- სწავლების ინდუქციური მეთოდს;
- მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას სასწავლო მასალების, სხვადასხვა აქტივობების, თემებისა და განმავითარებელი შეფასების ფორმატის შერჩევაში;
- მოსწავლეთა თანამონაწიელობას წასაკითხი და მოსასმენი მასალების, აქტივობების განმავითარებელი შეფასებების მომზადებაში;
- მოსწავლეთა მიერ სწავლის შედეგებზე პასუხისმგებლობის გაცნობიერებას, დისციპლინის ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც მოსწავლის პასუხისმგებლობას ეფუძნება, მის მიერ სწავლის ორგანიზებაში და დროის ეფექტურ გამოყენებაში.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად დისერტაციაში გამოყენებულია **კვლევის** შემდეგი **მეთოდები**:

- ზემოხსენებულ კვლევის თემაზე არსებული ლიტერატურის ანალიზი
- მოსწავლე/მასწავლებლის კითხვარები
- ექსპერიმენტი
- მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების ტესტების გამოყენების საფუძველზე შეფასება ექსპერიმენტის მსვლელობისას
- კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი

**დისერტაციის თეორიულ ღირებულებას** წარმოადგენს ისეთი საკითხების ანალიზი, როგორცაა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება (დაწყებული სოკრატისეული სწავლების მეთოდით დასრულებული თანამედროვე - ვაიმერის, ფელდერისა და ბრენეტის, ფრეის და სხვ. - კვლევებით (Weimer, 2002; Felder and Brent, 2009, Freire, 1995; 2005, etc.). დისერტაციაში ასევე გაანალიზებულია კავშირები უცხო ენის სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და მასწავლებელზე თუ მოსწავლეზე ორიენტაციას შორის. დაასკვნაა გაკეთებული, რომ არ არის იმის საჭიროება, რომ მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა სრულიად იყოს უარყოფილი. მოსწავლის ასაკისა და უცხო ენის ფლობის დონე, რა აქტივობას (მადალითად, ახალი მასალის ახსნას) აქვს ადგილი საკლასო ოთახში, განსაზღვრავს იმას, თუ რა ადგილი დაეთმობა სასწავლო პროცესში მასწავლებელზე ორიენტირებულ სწავლებას. თუმცადა, მთლიანობაში სწავლების ფილოსოფია უნდა ეყრდნობოდეს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას. მაგალითად, ახალი მასალის ახსნისასაც კი, როცა მასწავლებლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დასანახია, უკეთესია, მივმართოთ ინდუქციას (მასწავლებლის მიერ შერჩეულ მაგალითებზე დაყრდნობით მოსწავლეები თვითონ აკეთებენ დასკვნას) და არა დედუქციას (მასწავლებლის მიერ მნიშვნელობებისა და წესების ახსნას). დისერტაციაში შემოთავაზებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მოდიფიცირებული მოდელი, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის ყველა საფეხურს - დაგეგმვას, თემატიკის, მასალის, აქტივობებისა და შეფასების ფორმატის მოსწავლეების მიერ არჩევანს. ასევე განხილულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა ამ მიდგომისადმი წინააღმდეგობის დაძლევის გზები.

კვლევის **პრაქტიკულ ღირებულებას** წარმოადგენს ექსპერიმენტული ნაწილისათვის შექმნილი სილაბუსი და სასწავლო მასალები. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი პრაქტიკული რჩევები კი, იმედია, მნიშვნელოვანწილად წაადგებათ ინგლისური ენის პედაგოგებს იმაში, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გახადონ სასწავლო პროცესი.

კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა 4 საერთაშორისო კონფერენციაზე და გამოქვეყნდა 5 პუბლიკაციაში.

**დისერტაციის სტრუქტურა** მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი ნაწილი, სამი თავი, დასკვნა-რეკომენდაციები, ბიბლიოგრაფია და დანართი. დისერტაცია მოიცავს 22 ცხრილსა და 2 გრაფიკს.

**თავი I. მასწავლებელზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები განათლებისა და ენის სწავლების საკითხებში ( ლიტერატურის მიმოხილვა)**

სწავლებისადმი მიდგომების მოკლე მიმოხილვა მოიცავს, ერთის მხრივ, სოკრატისეულ მეთოდს, პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებას და ევრისტიკულ სწავლებას, მეორე მხრივ კი, სქოლასტიკურ და პირდაპირ სწავლებას. ამ თავში ასევე გაანალიზებულია უცხო ენის სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა გრამატიკულ-მთარგმნელობითი, პირდაპირი, აუდიოლინგვური მეთოდი, სუგესტოპედია „ჩუმი მეთოდი“, სრატეგიაზე დაფუძნებული სწავლება და კომუნიკაციური სწავლება. ყველა განხილული მეთოდის ანალიზი განხორციელებულია იმ კუთხით, თუ რამდენად არის იგი მასწავლებელზე ან მოსწავლეზე ორიენტირებული. ნაჩვენებია, რომ ისტორიულად მოსწავლეზე ორიენტაცია თანდათანობით ძლიერდებოდა.

უცხო ენის თანამედროვე სწავლების პროცესი მოიცავს მოსწავლე და მასწავლებელზე დაფუძნებული სწავლების მიდგომების სხვადასხვა პროპორციით შერევის გრადაციას, თუმცა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ყველაზე მეტად აკმაყოფილებს თანამედროვე ბაზარზე არსებულ დემოკრატიული და ტექნოლოგიურად განვითარებული საზოგადოების ყველა საჭიროებას.

პირველ ცხრილში წარმოდგენილია სასწავლო პროცესის ეტაპების/კომპონენტების ანალიზი, მასწავლებელზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ისევე როგორც რეკომენდაციები, სწავლების პროცესში არსებული გარკვეული დანაკლისების კომპენსირებისათვის.

**ცხრილი 1 მასწავლებელზე ორიენტირებული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების შედარება.**

მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი			მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი		
დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები	კომპენსირების საშუალებები	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები	კომპენსირების საშუალებები
<b>მასალის პრეზენტაცია</b>					
დედუქციური მეთოდი			ინდუქციური მეთოდი		
ზუსტი ახსნა-განმარტება შესაძლებელს ხდის მასალის აღქმას	მოსწავლეები არიან ინფორმაციის პასიური მიმღები, რაც ხშირად მოსაბეზრებელს ხდის სასწავლო პროცესს	გამოიყენეთ ვიზუალური მასალა, თავი შეიკავეთ უსასრულო ახსნა-განმარტებები სგან, მასალის ახსნის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს მოიყვანონ მაგალითები	ადრავს მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობას, ისინი ხომ გონებრივად აქტიურები არიან, მათ მიერ ინფორმაციის ამოცნობა და სასიამოვნოა და სტიმულის მომცემი	ინტელექტუალურად მომთხოვნი, დრო-ტევადი	გამოიყენეთ შედარებით მარტივი მასალა, მოიყვანეთ შესაფერისი მაგალითები, გამოიყენეთ მინიშნებები, დააჯამეთ შედეგები, სთხოვეთ შედარებით 'სუსტ' მოსწავლეებს ახსნა-განმარტება
<b>პრაქტიკა და პროდუქცია</b>					
ტექსტები, აქტივობები ირჩევა მასწავლებლის მიერ, ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობებზე კონტროლი სრულად ხორციელდება პედაგოგის მიერ.			ტექსტები, თემები, აქტივობები ჯერ ირჩევა პედაგოგის მიერ, რომელთაგან შემდეგ მათთვის სასურველს ირჩევენ მოსწავლეები; წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა მხოლოდ ნაწილობრივ არის გაკონტროლებული მასწავლებლის მიერ.		



მასწავლებლის კვალიფიკაცია განაპირობებს 'სწორ' არჩევანს, შეცდომის შემთხვევაში მოსწავლეები ასრულებენ პედაგოგის მითითებებს	ჩნდება მოწყენილობის განცდა, დაბალი მოტოვაცია, მოსწავლეები სრულად არიან დამოკიდებული მასწავლებელზე, პრაქტიკას ეთმობა მცირე დრო. დამახასიათებელია გარეგანი მოტივაცია	საზრიანი არჩევანის გაკეთება	მოსწავლეები აცნობიერებენ პასუხისმგებლობას, დამოუკიდებელი არჩევანი ზრდის მათ მოტივაციას ისწავლონ მათ მიერ არჩეული თემა. მიდგომა ავითერბს მოსწავლეთა ავტონომიის განცდას, აყალიბებს უწყვეტ სასწავლო ბაზას.	ყველა მოსწავლე არ არის მზად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ განვითარებაზე, ზოგი მათგანი პასიურია, და იკარგება სხვა მოსწავლეთა ზურგს უკან, მოსწავლის კვალიფიკაცია შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს არჩევანის გასაკეთებლად	ჯგუფში ფუნქციონირება და გადამსწავლება
---	--	-----------------------------	---	---	---------------------------------------

**შეფასება**

შეფასება წარმოებს მასწავლებლის მიერ ურთიერთშეფასება, თვითშეფასება და მასწავლებლის მიერ შეფასება

კვალიფიციური შეფასება	დაბალი თვითშეფასება. ხშირ შემთხვევაში მღელვარებისა და შიშის მაღალი ხარისხი, უსამართლობის განცდა შეფასებისას, მოსწავლეების მხრიდან ერთი და იგივე ტიპის შეცდომები, პასუხისმგებლობის ნაკლებობა.	რუბრიკების გამოყენება, მასწავლებლის უკუკავშირი, შეცდომების მხოლოდ მითითება - შეცდომების გასწორება ხდება მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებაში.	ავითარებს თვითკრიტიკის, თვითგანვითარებისუნარსა და თვითრწმენის განცდას, ქმნის უწყვეტი განვითარების საფუძველს.	ურთიერთშეფასება შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა ურთიერთობებზე. შეფასება შესაძლოა იყოს სუბიექტური.	ურთიერთშეფასება ნიშნების გარეშე, შეფასების რუბრიკების შემუშავება მოსწავლეებისა და მასწავლებლის თანამშრომლობით
-----------------------	--	---	--	---	---

ცხრილიდან მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ ერწყმის სწავლებისადმი ერთი მიდგომის დადებითი მხარეები მეორე მიდგომის უარყოფით მხარეებს და როგორ ავსებენ მიდგომები ერთმანეთს. ასევე ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების ყველა უარყოფითი ნიუანსის კომპენსირება, რაც განაპირობებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრიორიტეტულობას.

პირველ თავში ასევე აღწერილია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების დანერგვის სხვადასხვა გზა, რადგან, როგორც წესი, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისას ხშირად აქვს ადგილი მასწავლებლისა და მოსწავლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას. დამოუკიდებლად სწავლის მისაღწევად აუცილებელია მოსწავლის მიერ ადეკვატური მიზნების დასახვა (მაგალითად, არამხოლოდ გამოცდების ჩაბარება, არამედ საჭირო ცოდნისა და უნარების მიღება), მიზნის მიღწევის შესაძლო გზების განსაზღვრა, დროის მართვა, დახმარების მისაღებად საჭირო წყაროების ცოდნა და თვითრწმენა. ყოველივე ეს ხშირ შემთხვევაში მიუღწეველია მასწავლებლის რეკომენდაციების გარეშე. მასწავლებლები, რომლებიც იზიარებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ძირითად პრინციპებს, სწავლების პროცესში იყენებენ უამრავ სტრატეგიას პოზიტიური გარემოს შესაქმნელად, კერძოდ: ეტაპობრივ სტრატეგიებს, მოდელირება/დემონსტრირებას, სიტუაციის პერიოდულ მიმოხილვას, პროგრესის მონიტორინგს, სხვადასხვა ტექნიკას (მრგვალი მაგიდა, დისკუსიები, დებატები, „მოზაიკის“ ქვიზი, მინი-ტესტი, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აქტივობები, თანამშრომლობითი სწავლება, შედარება/კონტრასტი, კონცეპტუალური რუკა.

**მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სხვა ხელშემწყობი ფაქტორებია:**

- მოსწავლის თვითრწმენის ხელშემწყობა, გარკვეული წინაღობების დაძლევა, შეცდომებზე სწავლა
- დამოუკიდებლად სწავლა
- თანამშრომლობის უნარი
- რწმენა იმისა, რომ მოსწავლეს გააჩნია საკმარისი კომპეტენცია მიზნის მისაღწევად.

ჟან პიაჟეს (Piaget, 1970) მოსაზრების თანახმად, ადამიანის განვითარების ფორმალურ-ოპერაციულ სტადია (12 წლიდან: აბსტრაქტული აზროვნება, ჰიპოთეტურ-დედუქციური აზროვნება) არის ასაკი, როდესაც ბავშვებს უვითარდებათ აბსტრაქტული აზროვნება, ისინი მარტივად იმახსოვრებენ ინფორმაციას და ავლენენ ლოგიკური აზროვნების უნარს. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უფროსკლასელები მიეკუთვნებიან კოგნიტური განვითარების სწორად ამ საფეხურს. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ეს ასაკი და პერიოდი ადეკვატურია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სრულყოფილად განსახორციელებლად.

## **თავი 2: მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვა და კლასის მართვა**

წარმატებული სწავლა/სწავლების განსახორციელებლად აუცილებელია გაკვეთილის დაგეგმვის მრავალი ასპექტის გაანალიზება.

წარმატებული დაგეგმვის წინაპირობაა რელევანტური მიზნის დასახვა. მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელი გაკვეთილის სულ სხვადასხვა სტილით დაგეგმვა. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისას სწავლის შედეგები განისაზღვრება მოსწავლეთა მიერ დასახელებული შედეგებით და მათ მიერ დასახული მიზნებით. ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლის მიერ (რასაც რეალურად არა აქვს ადგილი) მნიშვნელოვანია „მოქნილი გეგმის“ შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს მისი მოდიფიცირება მოსწავლეების არჩევანის გათვალისწინებით. მიზნების, რესურსების, აქტოვობების, კლასის მართვის სტილის, შეფასების და შედეგის ურთიერთშესაბამისობა აქცევს სასწავლო პროცესს მოსწავლეზე ორიენტირებულს. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ვერ ჩაითვლება გამართლებულად, თუ არა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში.

მეორე თავში განხილულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების და გაკვეთილის დაგეგმვის გზები. ლიტერატურის ანალიზზე და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია საკითხების შემდეგნაირი შეჯამება:

- არსებობს გარკვეული კონფლიქტი მსოფლიო სტანდარტიზაციასა (რომელიც გამოწვეულია გლობალიზაციით) და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებას (რაც დაკავშირებულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით) შორის.
- ამ კონფლიქტის გადაჭრა შესაძლებელია არა მხოლოდ მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით საკლასო აქტივობებში, როგორცაა წყვილებში მუშაობა, მცირე ჯგუფებში მუშაობა, პროექტი, როლური თამაშები და ა.შ., არამედ სილაბუსით გათვალისწინებული სხვადასხვა შესაძლებლობებით (მრავალფეროვანი აქტივობები, თემები, შეფასებისა და თვითშეფასების სხვადასხვა ფორმატი).
- მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას აქვს გარკვეული შეზღუდვებიც, კერძოდ, შეუძლებელია მისი სრულად გამოყენება ზოგიერთი საგნის სწავლებისას.
- იმისათვის, რომ აღმოიფხვრას აღნიშნული მიდგომის უარყოფითი მხარეები, საჭიროა ახალი ტიპის საგნის სახელმძღვანელოების შექმნა, ასევე მასწავლებლისთვის შესაბამისი ანაზღაურების გათვალისწინებამ დროის შესაბამისად, რასაც მოითხოვს მსგავსი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვა.

**მოთხოვნილებათა ანალიზი** წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს იარაღს მასწავლებლისთვის, რათა მან განსაზღვროს მოსწავლის განვითარების დონე, კოგნიტური განვითარების ეტაპები, ლინგვისტური, სოციალური, ემოციური /ფსიქოლოგიური არეალები. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რის მიღწევასელიან მოსწავლეები სასწავლო კურსის დასრულებისას, წინასწარ განსჭვრიტოს დაბრკოლებების წარმოშობის მიზეზი, უზრუნველყოს მოსწავლეების ჩართულობა, განსაზღვროს, თუ რომელია ინფორმაციის გადაცემის ყველაზე სასურველი ფორმატი - კლასზე დაფუძნებული, ონლაინ რეჟიმი, თუ შერეული ტიპის სხვადასხვა ფორმატი, შეარჩიოს ყველაზე მოსწავლეზე მორგებული შეფასების მექანიზმი და მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს. მოსწავლეთა მოთხოვნილებების ანალიზი ეხმარება მასწავლებელს, გამოიყენოს საკითხის მრავალმხრივი ახსნა-განმარტება, საკვანძო იდეები, ის ასევე იძლევა შესაძლებლობას, პედაგოგმა უხელმძღვანელოს მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, არეგულიროს დისციპლინარული საკითხები, ხელი შეუწყოს ყოველი მოსწავლის მიღწევებს. საკითხების ღრმა გააზრება იმ წლების

განმავლობაში, როცა მიმდინარეობს პიროვნების ჩამოყალიბება, დიდი მნიშვნელობის მქონეა, ისევე როგორც მოსწავლეების მხარდაჭერა და იმის ხელშეწყობა, რომ მათ აღიქვან საგნები და მოვლენები განსხვავებული პერსპექტივით (რაკურსით), მიიღონ გააზრებული გადაწყვეტილება, განავითარონ საჭირო უნარები, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებათ.

მოსწავლეზე ორიენტირებული ეფექტური გაკვეთილის გეგმის შემუშავებისას აუცილებელია მრავალი ფაქტორის განსაზღვრა და გათვალისწინება:

- 1) მიზნების განსაზღვრა მოსწავლეების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე
- 2) მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება
- 3) დროის მართვა
- 4) მოსწავლეების მობილიზება (დაინტერესება)
- 5) ახალი მასალის ახსნისას (როდესაც მას მოსწავლეების ცოდნის დონის შესაბამისია და არ მოითხოვს დიდ დროს) მნიშვნელოვანია, გამოყენებული იქნას ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდის ნაცვლად.
- 6) მრავალფეროვანი თემატიკისა და ქვე-თემების შეთავაზება საუბრისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის, მრავალფეროვანი ტექსტები, მოსასმენი მასალა და აქტივობები, რაც შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, აირჩიონ ის, რაც მათთვისაა სასურველი.
- 7) მასალის სირთულე უნდა იყოს მოსწავლის ენობრივ დონესთან შესაბამისი (დასაშვებია 10% -ის უცნობი ენობრივი მასალის გამოყენება, რაც გამოიწვევს მოსწავლეების დაინტერესებას და განაპირობებს მათ მენტალურ აქტიურობას) და, ცხადია, მათი ასაკი (გონებრივი განვითარების დონე: აბსტრაქტული აზროვნების განვითარების დონე, ზოგადი ცოდნა) თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს.
- 8) გარკვეული დოზით იმპროვიზაცია გაკვეთილის გეგმას მეტად 'მოქნილს' ხდის კონკრეტულ სიტუაციებში ლავირებისთვის, ამავდროულად, მწყობრი ზოგადი კურსი უზრუნველყოფს პროცესის შეთანხმებულ მსვლელობას.

9) გაკვეთილების მსვლელობისას სირთულის შემდგომ დონეზე გონივრული გადასვლა (მარტივიდან რთულისკენ, ცოდნის გაღრმავება და უნარების განვითარება ყოველი გაკვეთილის კონკრეტულ ეტაპზე).

10) მოსწავლეების გადანაწილებისას წყვილებში და ჯგუფებში სხვადასხვა ხერხების გამოყენება.

11) წინარე ცოდნის გააქტიურების ფონზე მოსწავლეების მომზადება ახალ ეტაპზე გადასასვლელად (ახალი ცოდნის დასაუფლებლად).

12) მასწავლებლის ადგილი შესაძლოა იყოს დაფის წინ კონკრეტული აქტივობებისას, საჭიროების შემთხვევაში, თუმცა იმისათვის, რომ სასწავლო პროცესმა მიიღოს თანამშრომლობითი ხასიათი, სასურველია პედაგოგი იმყოფებოდეს მოსწავლეების გარემოცვაში (მათ შორის), მასწავლებლის საუბრის დრომ არ უნდა გადააჭარბოს მოსწავლის საუბრის დროს, მასწავლებელი როგორც ფასილიტატორი მუდმივად წარმოადგენს დახმარების წყაროს ცალკეული მოსწავლეებისთვის; წყვილებში და ჯგუფებში მუშაობისას ის უნდა იყოს თანამონაწილე (და არა დირექტივების გამცემი).

**დროის მართვა** გაკვეთილის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი დეტალია. განსაზღვრა იმისა, თუ რა დრო დასჭირდება კონკრეტულ აქტივობას, დამოკიდებულია რამდენიმე ელემენტზე:

- 1) მოსწავლეების ასაკი
- 2) აქტივობების სირთულე (აქტივობების ინსტრუქციების ახსნა, განცხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, შეცდომების გასწორება).

შეუძლებელია, მასწავლებელმა წინასწარ ზუსტად განსაზღვროს კონკრეტული აქტივობისთვის საჭირო დრო ან ზუსტად განსაზღვროს, თუ როდის გადაიზრდება დისკუსია მეტად აქტიურ და საინტერესო ფაზაში, რომ მისი რეალიზაციისთვის საჭირო გახდეს დამატებითი დრო (ანუ გეგმით გათვალისწინებული დრო არასაკმარისი რომ აღმოჩნდეს). ამიტომ, გაკვეთილის გეგმის წერისას, მასწავლებელი მუდამ აღნიშნას ყოველი აქტივობისთვის განკუთვნილ სავარაუდო დროს, მაგრამ

ასე გაანაწილებს დროს, რომ გაკვეთილის ბოლოს შეაჯამოს ძირითადი ინფორმაცია და უპასუხოს მოსწავლეებს მათ მიერ დასმულ კითხვებზე. რეალისტურად დროის გადანაწილება გულისხმობს საკლასო გარემოს მოთხოვნისამებრ შესაბამის ცვლილებებს (ლავირებას).

სასურველია, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ მასალის შერჩევაში, ეს შესაძლებელია ორი საშუალებით:

- 1) მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის თემას ორი გაკვეთილით ადრე და სთხოვს მათ, მოიტანონ მათთვის საინტერესო წასაკითხი/მოსასმენი მასალა. ერთი გაკვეთილით ადრე მოსწავლეებს მოაქვთ მათ მიერ შერჩეული ტექსტები, რომელსაც მოგვიანებით მასწავლებელი ამუშავებს (სიტყვები, განმარტებები, აქტივობები) და სთავაზობს მოსწავლეებს, რათა მათ გააკეთონ არჩევანი.
- 2) გაკვეთილის მიმდინარეობისას პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს 3 - 4 ტექსტს მოკლე მიმოხილვით. ტექსტები შესაძლოა იყოს ილუსტრირებული, რათა მოსწავლეებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნას მათ შინაარსზე. ყველა ტექსტი წინასწარ დამუშავებულია მასწავლებლის მიერ, ამიტომ ტექსტის მოსწავლეების მიერ სპონტანური არჩევანი არ უქმნის პრობლემას მასწავლებელს.

პირველი მიდგომა მოსწავლეზე მეტად ორიენტირებულია, მაგრამ მას გააჩნია გარკვეული უარყოფითი მხარეებიც: მასალების მომზადება მოითხოვს მეტ დროს, მოსწავლეების მიერ მოტანილმა ტექსტებმა, მასწავლებლის დამუშავების გარეშე, შესაძლოა შექმნას პრობლემები (მაგალითად, გაუგებარი კონტექსტი, უცხო ლექსიკური ერთეულები). მეორე მიდგომა შედარებით ნაკლებ დროს მოითხოვს, მაგრამ ნაკლებად ორიენტირებულია მოსწავლეზე. ამდენად, სასურველია მიდგომათა მონაცვლეობით გამოყენება.

სასწავლო რესურსების ჩამონათვალი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ჭრილში მოიცავს ციფრულ რესურსებს, განსაკუთრებით, თუ პედაგოგი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. მდიდარი მასალა და საინტერესო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტში. მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ამ გზით მოპოვებული იდეები სასწავლო პროცესში დასახული მიზნების მისაღწევად.

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები შეიძლება მოიცავდეს:

- 1) დამატებით რესურსებსა და წყაროებს (ვებ-გვერდებს), რომლებიც ხელმისაწვდომია და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საკლასო ვითარებაში ან მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ კვლევაში;
- 2) დამატებით იდეებს (თემებს);
- 3) დამატებით მასალას გაკვეთილის თემის გასამდიდრებლად (გასავრცობად);
- 4) გაკვეთილთან დაკავშირებულ საკითხებს (ბმულებს ვებ-გვერდზე)

**მოსწავლეების ჩართვა ტესტების შექმნის პროცესში** თითქმის არ არის გამოყენებული და გამოკვლეული. ტესტების შექმნა შესაძლოა დაევალოთ მოსწავლეებს კრეატიული საშინაო დავალების სახით. კარგმა და ორიგინალურმა (წინასწარ შემოწმებულმა „ანტი-პლაგიატის“ პროგრამის გამოყენებით) ტესტმა შესაძლოა განაპირობოს მოსწავლეების მაღალი ქულა. კლასში შესაძლებელია ტესტების გაცვლა მოსწავლეებს შორის და ურთიერთშეფასება მათი გამოყენებით. თუ ტესტის ფორმატი შეთანხმებულია, მასწავლებელს შეუძლია შეარჩიოს საუკეთესო ვარიანტები პასუხებით, შეამოწმოს მეტი შესაბამისობა მოთხოვნებთან და შექმნას ტესტი, რომელსაც გამოიყენებს მოსწავლეების ცოდნის შესამოწმებლად. მსგავსი მიდგომა შესაძლოა გახდეს მოტივაციის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზის გამო:

- მოსწავლეები განიცდიან სიამაყის განცდას იმის გამო, რომ არიან ტესტის თანაავტორები;
- შეუძლებელია თავი იჩინოს ექვმატესტის ობიექტურობისა და სირთულის შესახებ
- ტესტის შედგენისას, მოსწავლეები იუმჯობესებენ ცოდნას;
- მოსწავლეები იღებენ (აცნობიერებენ) პასუხისმგებლობას არა მხოლოდ სწავლაზე, არამედ შეფასებაზეც.
- ვინაიდან ტესტის სრული შემადგენლობა წინასწარაა ცნობილი, მცირდება მღელვარებისა და შიშის განცდა.

მეორე ცხრილში შეჯამებულია მასწავლებლისა და მოსწავლის როლი, რაც მნიშველოვანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განვითარებისთვის. ცხრილიდან ჩანს, რომ დემოკრატიულმა ხედვამ საგანმანათლებლო საკითხებში



განაპირობა მოსწავლეების პასუხისმგებლობის (და არა მხოლოდ უფლებების, როგორც ამას ზოგი მოსწავლე თვლის) გაზრდა.

## ცხრილი 2. მასწავლებლისა და მოსწავლის როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებაში

	მასწავლებლის როლი	მოსწავლის როლი
მოსწავლის მოთხოვნილებები	მოსწავლეების მოთხოვნილებების განსაზღვრა პირად გამოცდილებაზე, მეცნიერულ კვლევაზე, კითხვარებზე, დაკვირვებაზე, მოსწავლეებთან გულახდილ საუბრებზე დაყრდნობით.	მასწავლებლის მიერ შედგენილი კითხვარების შევსება, მოთხოვნილების დაფიქსირება
სასწავლო კურსის, გაკვეთილის მიზნები	მიზნების განსაზღვრა, მათი მოსწავლეებისთვის ახსნა, მიზნების განხორციელების მონიტორინგი	მოსალოდნელი შედეგებისა და დასახული მიზნების განხორციელების (შესრულების) დონის განსაზღვრა მასწავლებლის დახმარებით.
წინააღმდეგობის დაძლევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების საკითხებში	კვლევის შედეგების კოლეგებისთვის გაცნობა, და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უპირატესობის დასაბუთება (სწავლებისადმი ზემოხსენებულისტილის გამოყენების აუცილებლობა)	სასწავლო პროცესში მოსწავლის როლის მნიშვნელობის ზრდა, მსგავსი წინააღმდეგობის დაძლევა, როგორც: თვითრწმენის ნაკლებობა, პასიურობა, სიზარმაცე.
სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობის ზრდა	მოსწავლეების მხარდაჭერა, ცნობისმოყვარეობის აღძვრა, თვითკონტროლის უნარის განვითარება	სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება
დისციპლინა	(დისციპლინარულ საკითხებში) მორჩილების დაძველებული მოდელის თავიდან არიდება, აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებლობის გათვინობიერება (რაც აუცილებელია ეფექტური სწავლისთვის), დისციპლინის გაიგივება სასწავლო პროცესის ეფექტურ ორგანიზებასთან	დისციპლინის დაცვა მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე
ორგანიზება და	გაკვეთილების ორგანიზებულობა და	მოსწავლეების მიერ სწავლის

დაგეგმვა	სისტემურობა, სწორი დაგეგმვა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების გატარება	პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება, დროის განსაზღვრა და მართვა დავალებების შესრულებისას.
მოსწავლე-მასწავლებლისა და მოსწავლე-მოსწავლის ურთიერთობები	მოსწავლეებისადმი უშუალო და მეგობრული დამოკიდებულება, თემებთან დაკავშირებით გონივრულ დათმობებზე წასვლა, საგანმანათლებლო მასალებისა და დავალებების შერჩევა/შექმნაში მოსწავლეთა აზრის გათვალისწინება, მეგობრული საკლასო გარემოს შექმნა (ურთიერთთანამშრომლობა)	მეგობრული დამოკიდებულება, პასუხისმგებლობა, ერთიერთპატივისცემა
მოტივაცია	გარეგანი მოტივაციის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ საშუალებათა ფართო არსენალის წარმოდგენა. (სამართლიანი, რეგულარული შეფასება, საინტერესო თემების/აქტივობების შეთავაზება), რაც შესაძლოა გადაიზარდოს შინაგან მოტივაციაში.	შინაგანი მოტივაციის დემონსტრირება, სწავლა ცოდნის გასაღრმავებლად და სხვადასხვა უნარების გასამტკიცებლად და არა მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად და სასურველი ქულების მისაღებად.
თემა	საინტერესო თემების შეთავაზება	თანაკლასელებისთვის საინტერესო დამათითვალთახედვით დირებულ თემების შეთავაზება, რაც არ მოიაზრება სილაბუსში; პედაგოგის მიერ წარმოდგენილი თემებიდან სასურველის არჩევა.
მასალა	საინტერესო მასალების მოძიება და მიწოდება	თანაკლასელებისთვის საინტერესო და მათი თვალთახედვით სასარგებლო მასალების მიწოდება, რაც არ მოიაზრება სილაბუსში; პედაგოგის მიერ წარმოდგენილი მასალათაგან სასურველის არჩევა.
პრეზენტაცია	ინდუქციური მეთოდის ხშირი გამოყენება დედუქციურ მეთოდთან შედარებით, მოსწავლეების მოტივირება, მხარდაჭერა, რომ გარისკონ, განახორციელონ მნიშვნელობის მიხედვით.	მოსწავლეები არ ელიან, რომ მასწავლებელი ყველაფერს აუხსნის; ისინი მზად არიან, გარისკონ, ეცადონ თვითონ გამოიცილონ უცნობი მასალის მნიშვნელობა; ეს იწვევს მაღალი დონის კოგნიტური უნარების განვითარებას
აქტივობები	მრავალფეროვანი და საინტერესო ავთენტური აქტივობების გამოყენება	სხვადასხვა აქტივობის შეთავაზება, რომლებიც მათი

	სხვადასხვა მიზნით, განსაკუთრებული აქცენტი ჯგუფურ მუშაობასა და წყვილებში მუშაობაზე	თანაკლასელებისთვის სასურველია, საინტერესო და სასარგებლო, მაგრამ არ მოიაზრება სილაბუსში; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტოვობებიდან არჩევანის გაკეთება; აქტივობებში ჩართულობა
შეფასება	ტესტის მომზადება, ზოგი ტესტი პასუხებით (რათა მოსწავლეებმა გამახორციელონ თვითშეფასება), მოსწავლეებთან ერთად შეფასების რუბრიკების შემუშავება, შეფასების შედეგებისა და მოსწავლეების თვითშეფასების შედეგების შედარება, განსხვავებების ახსნა, სტრატეგიების შეთავაზება, რომლებიც გამოიყენება პრობლემის დასაძლევად.	ურთიერთშეფასების პროცესში მონაწილეობა, თვითშეფასება, განმავითერბელი შეფასებისთვის და ვალეების შედგენა
სტრატეგიები	ახსნა და სასწავლო სტრატეგიების ორგანიზება	საკუთარი სწავლის მონიტორინგი და სწავლის სტილის შერჩევა, პრობლემის გადაჭრის ინდივიდუალური სტრატეგიების შემუშავება

**თავი 3. გაკვეთილის დაგეგმვის, კლასის მართვისა და ინგლისური ენის სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით - „ტრადიციული“ და „გაფართოებული“ გაგებით - კვლევა**

წარმოდგენილი კვლევა შედგებოდა ორი ნაწილისგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა მიმოხილვას (ანკეტირებას) მასწავლებელთა მზაობისა მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენებისათვის და მისი გათვითცნობიერებულობის დონის, მეორე კი იყო ექსპერიმენტული ნაწილი, რომელიც წარიმართა ჩემს მიერ შემუშავებული მოდელის მიხედვით, რომელიც დეტალურად აღწერილია დისერტაციის თეორიულ ნაწილში (ეს მოდელი მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის ფართო გაგებას იძლევა).

**მიმოხილვის (ანკეტირების) მთავარ მიზანს** წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად სრულყოფილად ფლობენ საქართველოში მასწავლებლები კლასის ეფექტური მართვის სხვადასხვა საშუალებებს და როგორია მათი ხედვა მასწავლებელზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სხვადასხვა ასპექტზე კლასის მართვის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დროის მართვის პრობლემას.

**კვლევის მეთოდი** იყო რაოდენობრივი, მასწავლებელთა კითხვარებზე დაყრდნობით.

რესპოდენტები იყვნენ ინგლისური ენის 40 პედაგოგი 5 სკოლიდან, რომელთაგან ზოგი თბილისის სკოლას წარმოადგენდა, ნაწილი კი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს, მათი ასაკი მერყეობდა 24 - დან 63 წლამდე. მათ შორის მხოლოდ 5 პედაგოგი იყო მამრობითი სქესის (12.5%), მასწავლებელთა სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა მოიცავდა პერიოდს 1-3 წლიდან (დამწყები მასწავლებლები - 12.5%) 30 წლამდე და ზოგ შემთხვევაში მეტს (45%). მასწავლებელთა რაოდენობა 4-10-წლიანი სამუშაო გამოცდილებით შეადგენდა 13.5%, 11-29-წლიანი გამოცდილებით კი - 25% პროცენტს. სავსებით შესაძლებელია ითქვას, რომ კვლევა იყო წარმომადგენლობითი და მისი შედეგები, შესაბამისად, სანდო.

კვლევის შედეგების თანახმად მასწავლებელთა უმრავლესობამ კითხვარზე პასუხისას გამოავლინა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისადმი დადებითი დამოკიდებულება, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იგრძნობოდა პოზიციის ცვალებადობაც. პასუხები ზოგიერთ საკითხზე იყო მოსწავლეზე ორიენტირებული, სხვაზე კი არა.

სამწუხაროდ, მასწავლებელთათვის პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ გაკვეთილის დროის ეფექტური გაწერა, არამედ ის ფაქტიც, რომ მასწავლებლები არ უთმობენ საკმარის დროს (ან რიგ შემთხვევაში არ აქვთ საკმარისი დრო) კვალიფიკაციის ამაღლებას იმ მიმართულებით, რომ სწავლება გახადონ მოსწავლეზე უფრო მეტად ორიენტირებული (მაგალითად, გამოიყენონ კითხვარები მოსწავლეთა ინტერესის სფეროებისა და მათი მოთხოვნილებების განსასაზღვრელად).

შესაბამისად, მივედი დასკვნამდე, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებამ კლასის მართვის პროცესში უკვე მოიპოვა პოპულარობა ინგლისური ენის პედაგოგებს შორის, თუმცა გასაკეთებელი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია, სანამ საბოლოოდ შესაძლებელი გახდება ითქვას, რომ გაკვეთილები იმართება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით.

**ექსპერიმენტი** (რაოდენობრივი კვლევა) ჩატარდა ქართულ-ამერიკულ უმაღლეს კერძო სკოლაში, (თბილისი) 2014/2015 სასწავლო წელს პირველ სემესტრში (ჯამში 12 საათი, კომპლექსური სახელმძღვანელოთი, სამუშაო წიგნით, კვირაში 2 საათი როგორც საკონტროლო, ისე ექსპერიმენტულ ჯგუფში). აღნიშნულ სკოლაში არა მხოლოდ სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, არამედ უცხო ენა ისწავლება გაფართოებული პროგრამის მიხედვით (გარდა ამისა, ორივე ჯგუფს კვირაში ეთმობა 7 საათი ინგლისურ ენაში).

ექსპერიმენტულში მონაწილეობდა 18 მე-12-ე-კლასელი მოსწავლე (9 საკონტროლო და 9 ექსპერიმენტულ ჯგუფში). ჯგუფები იყო თანაბარნი ენის ცოდნის დონისა და შემადგენლობის მიხედვით, ორივე ჯგუფს ასწავლიდა ერთი და იგივე პედაგოგი, იმ

მიზნით, რომ თავიდან აგვეცილებინა მასწავლებლის კვალიფიკაციისა და სწავლების სტილის გავლენა.

ექსპერიმენტის მსვლელობისას სწავლება მიმდინარეობდა ძირითადი სახელმძღვანელოთი - Capel, A. & Sharp, W. (2012). Cambridge English. Objective First (3rd ed.). Cambridge University Press: Cambridge. Student's Book & Work Book.

გაკვეთილის მიზნები და სწავლის შედეგები პრაქტიკულად ემთხვეოდა ერთმანეთს. თვით დროის გადანაწილებაც ერთი და იგივე ტიპის აქტივობებზე იყო მსგავსი.

#### **გაკვეთილების დაგეგმვის განსხვავება მოიცავდა შემდეგს:**

ა) ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, გაეკეთებინათ არჩევანი მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული თემებიდან ან თავად დაესახელებინათ მათთვის სასურველი ქვე-თემა სავალდებულო თემატიკის ფარგლებში.

ბ) ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს შეეძლოთ გაეკეთებინათ არჩევანი მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დავალებებს შორის.

გ) ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს შეეძლოთ აერჩიათ მათთვის სასურველი საშინაო დავალება მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დავალებათაგან.

დ) ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები თავად ადგენენ სხვადასხვა დავალებებსა და ტესტებს.

ე) ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები ირჩევდნენ მათთვის სასურველ განმვითარებელი შეფასების ფორმატს მასწავლებლის შეთავაზებებიდან.

სხვა მხრივ ორივე ჯგუფში სწავლება მიმდინარეობდა მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდის გამოყენებით (წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა, დისკუსიები, დებატები, სხვადასხვა კომუნიკაციური აქტივობები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება).

საკონტროლო ჯგუფში ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ მოსწავლეები არ თვლიდნენ მნიშვნელოვნად აქტივობებს, რომლებიც მოითხოვენ მათგან მაღალ-სააზროვნო კოგნიტურ უნარებს (საშუალო ქულა 2.0 ან ნაკლები 4-ქულიანი შეფასების სისტემით): აზრის გამოცნობა, ცხრილების შევსება მოსმენილი ან წაკითხული ტექსტების საფუძველზე, აღწერა, შედარება, დისკუსია, წინადადებების შეფასება როგორც ჭეშმარიტი ან ცრუ, ახსნა-განმარტება და ტექსტის გაგება. იგივე კითხვარები იქნა გამოყენებული (ახალი აქტივობების დამატებით) ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს შორისაც. თავდაპირველ ეტაპზე ორივე ჯგუფში გამოკითხვების შედეგები იყო ერთნაირი, მაგრამ ექსპერიმენტის შემდეგ ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების დამოკიდებულება და ხედვა შეიცვალა ორი მიმართულებით:

- დაქვეითდა შემდეგი აქტივობების მიმართ: წინადადებების ერთმანეთთან შესაბამისობა და ჭეშმარიტი/ცრუ წინადადებები.
- გაიზარდა შემდეგი აქტივობების მიმართ: ანალიზი, ცხრილების შევსება, შედარება, დისკუსია, წინადადებების შედგენა, მასალის ახსნა მოსწავლეების მიერ, წაკითხული/მოსმენილი ტექსტის გაგება, ტექსტის გააზრება, პერიფრაზი, გონებრივი იერიში, შეჯიბრება.

ძალიან მარტივად შესაძლოა აიხსნას ყოველივე: მოსწავლეებმა აქტივობების გამოყენება დაიწყეს გააზრებულად. მას შემდეგ, რაც გააცნობიერეს პასუხისმგებლობა მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე (მასალაზე), მოსწავლეებისთვის სახალისო იყო ყოველი ახალი აქტივობა.


კიდევ ერთი კითხვარი იქნა გამოყენებული ექსპერიმენტულ ჯგუფში, იმის დასადგენად, თუ რამდენად რთულად, საინტერესოდ და სასარგებლოდ ჩათვალეს მათ სწავლისადმი ახალი მიდგომა. გამოკითხვა ჩატარდა ორჯერ, ექსპერიმენტის შუა ნაწილში და ბოლოს. ექსპერიმენტის ბოლოს მიღებულ მონაცემებმა ცხადყო, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეებისთვის საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა (2.00-ზე მეტი სამ-ქულიანი შეფასების სისტემით). ხოლო რაც შეეხება აღნიშნული მიდგომის სირთულეს, მისი შეფასება შედარებით მაღალი აღმოჩნდა: 1.67-2.22 ქულა 3-ქულიანი შეფასების სისტემით, რაც მოიცავდა შემდეგ

კომპონენტებს: ქვე-თემების, თემების, დავალებების, შეფასების ფორმატის, საშინაო დავალების შერჩევა და განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა დავალებებისა და ტესტების შედგენა - 2,78.

სამაგიეროდ, ექსპერიმენტის ბოლოს, ახალი მიდგომისთვის გარკვეული ადაპტირების შემდეგ, მოსწავლეებმა ახლებურად აღიქვეს ახალი მიდგომის სირთულე - „მარტივსა“ და „ზომიერად რთულს“ შორის (1.44-2.00). დავალებისა და ტესტების შედგენა მათთვის კვლავ წამროადგენდა გარკვეულ სირთულეს, მაგრამ არა იმდენად სერიოზულს, როგორ ეს ექსპერიმენტის დასაწყისში იყო - 2.11.

რაც შეეხება ენის უნარ-ჩვევების დონეს, ის ეტაპობრივად იზრდებოდა ორივე ჯგუფში, მაგრამ მეტად ინტენსიურად - ექსპერიმენტულ ჯგუფში, განსაკუთრებით, ექსპერიმენტის დასაწყისში, ხოლო ექსპერიმენტის მიწურულს უნარ-ჩვევების ზრდის ტემპმა იკლო, რადგან ამ დროისთვის შედეგებმა უკვე თითქმის შესაძლო მაქსიმუმს მიაღწიეს (იხილეთ გრაფიკი1).

გრაფიკი 1. მოსწავლეების ენობრივი უნარ-ჩვევების დონის ცვლილება





## დასკვნა და რეკომენდაციები

1. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს როლების გადანაცვლებას ( მასწავლებლის როლი იცვლება- ცოდნის გადამცემიდან ფასილიტატორის როლით, მაშინ როდესაც მოსწავლეების როლი ინაცვლებს ცოდნის პასიური მიმღებიდან მოსწავლემდე, რომელიც აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებაზე).
2. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება უკვე აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტებით. ის მოიცავს ნებისმიერი საგნის სწავლებასა და სწავლების ყველა ასპექტს. შესაბამისად, ის უნდა მოიაზრებოდეს გაკვეთილის დაგეგმვას და კლასის მართვას ინგლისური ენის სწავლების პოცესშიც. სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს, ის იწვევს მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარკვეულ წინააღმდეგობას.
3. მიმაჩნია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უკვე „ტრადიციულად“ ქცეული მიდგომა, ინგლისური ენის სწავლების პრაქტიკაში მოიაზრებს მხოლოდ მოსწავლეთა მოთხოვნილებების გათვალისწინებას, წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას, მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა აქტივობებში, რაც, ცხადია, ვერ ჩაითვლება არა მართებულ მიდგომად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უფრო ფართო გაგებით ინტერპრეტაცია, რომელშიც ასევე შედის:
  - ინდუქციური მეთოდის უფრო ხშირი გამოყენება სასწავლო პროცესში.
  - მოსწავლეების ჩართულობა თემის, მასალის, აქტივობის ტიპის, შეფასების ფორმატის შერჩევაში.
  - მოსწავლეების მონაწილეობა წასაკითხი/მოსასმენი მასალის, სხვადასხვა აქტივობების, განმავითარებელი შეფასების ფორმატის შერჩევის პროცესში.

- მოსწავლეების მიერ საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის გაცნობიერება (რაც მოიცავს ურთიერთშეფასებას, თვითშეფასებას, თვითდისციპლინას, ორგანიზებასა და დროის მართვას).

4. კითხვარების საშუალებით წარმოებული გამოკითხვების შედეგად რესპოდენტების (5 სკოლოდან 40 ინგლისური ენის მასწავლებელმა, რომელთაგან ნაწილი წარმოადგენდა ქ. თბილისის საშუალო სკოლებს, ხოლო ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონს) დიდმა ნაწილმა აღიარა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის უპირატესობა. კვლევის თანახმად, პედაგოგთა 40-45 % გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და ენობრივი ცოდნის დონეს, მაგრამ მათგან მხოლოდ 25% რეაგირებს მოსწავლეების თხოვნებზე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებულმა კლასის მართვის მოდელმა ინგლისური ენის სწავლებაში უკვე მოიპოვა პოპულარობა პედაგოგებს შორის, ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი, რათა თამამად ითქვას, რომ საგაკვეთილო პროცესი იმართება მოსწავლეებზე ორიენტირებული სწავლების მიდგომით. რათა მოხდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრაქტიკაში დანერგვა, მნიშვნელოვანია არამარტო პედაგოგთა და მოსწველეთა დარწმუნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სარგებლიანობაში, არამედ ამ მიდგომის ცნების ღრმა გაანალიზება.

5. ექსპერიმენტმა, რომელიც ჩატარდა თბილისში 18 მე-12-ე-კლასელი მოსწავლეების მონაწილეობით ერთი სემესტრის განმავლობაში, დაადასტურა ჩემ მიერ ლიტერატურულ ანალიზში გამოტანილი დასკვნები - რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა უნდა იყოს უფრო ფართოდ განვრცობილი და პრაქტიკაში დანერგილი, ვიდრე ეს დღესაა.

ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ საკონტროლო ჯგუფის წევრები, რომლებსაც ასწავლიდნენ მეტ-ნაკლებად მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდით (წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა) და ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეები, რომლებსაც დამატებით მოეთხოვებოდათ ინდუქციური მეთოდის გამოყენება სწავლის პროცესში, ჰქონდათ შესაძლებლობა და მოტივაცია, აერჩიათ ქვე-თემები, სასწავლო

მასალები და დავალებები მასწავლებლის მიერ შეთავაზებულიდან, ისევე როგორც შეედგინათ სხვადასხვა აქტივობი და ტესტები, რომლებსაც შემდგომში პედაგოგი გამოიყენებდა სწავლებაში.

ენობრივი უნარ-ჩვევების მიღწეული დონე იყო რელევანტური ორივე ჯგუფში (ვინაიდან ორივე ჯგუფში გამოიყენებოდა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება), თუმცა ექსპერიმენტულმა ჯგუფმა საგრძნობლად მეტ წარმატებას მიაღწია (71.11 → 94.67), ვიდრე საკონტროლო ჯგუფმა (72.11 → 83.56), რაც ადასტურებს აზრს იმის თაობაზე, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება უცხო ენის დაუფლებისას უნდა იყოს დაფუძნებული ამ ცნების უფრო ფართო გაგებაზე, როგორც ეს ჩემს მიერ არის შემოთავაზებული.

ექსპერიმენტის დაწყებამდე მოსწავლეები არ ავლენდნენ ენთუზიაზმს, დაინტერესებას აქტივობებისადმი, რომლებიც მოითხოვდნენ მათგან მაღალი დონის კოგნიტურ უნარებს. საკონტროლო ჯგუფმა შეინარჩუნა ეს მიდგომა ექსპერიმენტის შემდგომაც, მაგრამ ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებმა, რომლებიც სარგებლობდნენ აქტივობების დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობით, გამოავლინეს განსხვავებული მიდგომა და საბოლოოდ გააცნობიერეს ასეთი აქტივობების მნიშვნელობა.

შედაგად ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებისთვის ზემოხსენებული მიდგომა აღმოჩნდა საინტერესო (2.44-2.78 ქულა, სამქულიანი შეფასების სისტემით), სასარგებლო (2.33-2.89 სამქულიანი შეფასების სისტემით), მაგრამ ზომიერად რთული. აღწერილი მიდგომისადმი დამოკიდებულება გახდა განსაკუთრებით პოზიტიური ექსპერიმენტის დასასრულს.

მიდგომის სირთულის დონე იყო, ფაქტობრივად, ამ მიდგომის ერთადერთი პრობლემა. მოსწავლეებმა ექსპერიმენტის დასაწყისში განსაზღვრეს მიდგომა როგორც „საკმაოდ რთული“ და „მაღიან რთული“ (1.67-2.78), ექსპერიმენტის დასასრულს კი შედეგები მერყეობდა 1,44 -დან 2,00 -მდე („საკმაოდ რთული“). მხოლოდ დავალებებისა და ტესტების შედგენის სირთულე განისაზღვრა 2.11 ქულით (სამქულიანი შეფასების სისტემით), რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ამოცანა შედარებით რთულია, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული მოსწავლეებისთვის.

ცხადია, ანკეტირება და ექსპერიმენტი საჭიროებს უფრო მასშტაბურ ჩატარებას, მაგრამ ზოგადი ტენდენცია ჩატარებული კვლევებიდანაც საკმაოდ მკაფიოდ ჩანს, რაც ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემის საშუალებას გვაძლევს.

6. ლიტერატურის ანალიზზე და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება უნდა იქნას ფართოდ გამოყენებული საშუალო სკოლის (უფროსი კლასების) საფეხურიდან, ის უნდა მოცავდეს წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობას, ინდუქციურ მეთოდს მასალის პრეზენტაციისას, თემების, მასალების, აქტივობების სხვადასხვა ტიპების და შეფასების ფორმატის შერჩევასდა სწავლაზე პასუხისმგებლობის მოსწავლეებზე გადაცემას.

## კვლევასთან დაკავშირებულ გამოქვეყნებულ სტატიათა სია:

1. Kerdikoshvili, N. (March 19, 2011). Lesson Planning and Time Management. First International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English. International Black Sea University, p. 110-118
2. Doghonadze, N. &Kerdikoshvili, N. (2012) Planning in Education and Student-Centered Teaching. International Conference of Education, Research and Innovation, Madrid, Spain p.3315-3321
3. Kerdikoshvili, N. (2012). Student-centered approach to classroom management in English Language Teaching. Journal of Education. IBSU. vol. 1, iss. 2, p.53-60
4. Kerdikoshvili, N. (April 19-20, 2013). Students' Needs Assessment for Lesson Planning. Third International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literature in English, International Black Sea University. Proceedings, p. 313-327
5. Kerdikoshvili, N. (April 25-26, 2014) How to Use Teaching Time Effectively. Fourth International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English, International Black Sea University. Proceedings, p. 207-224